სპარტაკიადამ თბილისშიც შემოაბიჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 131
(5421)

1975 წ.
3 ივლისი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ორიოდე სიტყვა სამბისტთა ტურნირის წინ

მას არც ერთხელ არ უთქვამს ზედმეტი სიტყვა და როცა ვინმე, უმთავრესად ჟურნალისტებიდან, ეკითხებოდა რაიმეს გუნდის შესახებ, მხოლოდ კონკრეტულად უპასუხებდა.

გივი კახაბრიშვილი, საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საერთოდ არ არის სიტყვაძუნწი კაცი, მაგრამ დღეს იგი სასპარტაკიადო ტურნირის თავისებური მასპინძელია და, ცხადია, სხვებზე მეტად უნდა იყოს თავშეკავებული.

— გივი, როგორია თქვენი გუნდის პერსპექტივები ამ ტურნირში? — ჰკითხეს ჟურნალისტებმა უფროს მწვრთნელს.

— ჩვენ დიდი შრომა გავწიეთ და ყველა მოჭიდავეს შეგნებული აქვს ხვალინდელი დღის მნიშვნელობა. ჩემი ღრმა რწმენით, გუნდი კარგ ფორმაში უნდა იყოს.

სხვაგვარ პასუხს არც მოველოდით. ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ მწვრთნელი არავის გამოყოფდა ტურნირის წინ საგანგებოდ, არ დაასახელებდა არც ერთ გვარს, ან რა საჭიროა პროგნოზები, როცა შეჯიბრება კარსაა მომდგარი?

სამაგიეროდ, გივი უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს მეტოქეებზე, გულახდილად აფასებს მათ შანსებს. მწვრთნელს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის სამბისტთა ტურნირის ფავორიტები იქნებიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

საქართველოს ნაკრები? ამას ტურნირის დღეები გვიჩვენებს — ბურთი და მოედანი უკვე მზადაა.

რუსეთის ფედერაციის გუნდს ფავორიტთა შორის სხვა სპეციალისტებიც ასახელებენ და ეს არც უნდა გვიკვირდეს. სამბო სპორტულ სამყაროს ხომ სწორედ რუსეთმა აჩუქა. რუსეთის ფედერაციის ქალაქებში ბევრია სახელმოხვეჭილი სამბისტი, ამ პოპულარული ჭიდაობის სპეციალისტი, ენთუზიასტი...

აი, ერთ-ერთი მათგანი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მაიკოპელი ი. კობლევი. მან ჭეშმარიტად შეაყვარა სამბო ადგილობრივ ახალგაზრდობას, აღზარდა იგი თანამედროვე სპორტის მოთხოვნათა დონეზე, დახვეწა ტექნიკურად, ტაქტიკურად და ახლა იმკის თავისი მრავალი წლის დაუღალავი შრომის ნაყოფს. კობლევის მოწაფეთა შორის უკვე არიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. მასობრიობაც სწორედ ეს არის: მაიკოპში — მსოფლიო ჩემპიონი!

სამბო, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა სპორტის პირმშოა. აქედან მიიღო მან საერთაშორისო აღიარება, აქედან დაულოცეს გზა მას ჯერ ევროპის სარბიელზე, მერე კი მსოფლიოშიც. დღეს სამბოს სექციებში გაერთიანებულია [illegible]00 ათასამდე საბჭოთა ახალგაზრდა. თუ წინათ სამბოს ცენტრებად საბჭოთა კავშირის რამდენიმე რაიონი ითვლებოდა (რუსეთის ფედერაცია, საქართველო, უკრაინა, ლიტვა), ახლა იგი ძლევამოსილად დააბიჯებს მთელს ქვეყანაში. ტაშკენტში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. კალეტკინის მეთაურობით აღიზარდა რამდენიმე ექსტრა-კლასის სამბისტი. ყირგიზეთსა და ესტონეთში, მართალია, ცოტა უფრო მოგვიანებით, სამბო ისეთი პოპულარული გახდა, რომ დღეს ამ რესპუბლიკებს სასპარტაკიადო ტურნირში სრული გუნდები გამოჰყავთ.

1964 წელს, როცა იაპონური ჭიდაობა ძიუდო ოლიმპიური სახეობა გახდა, ბევრმა ცნობილმა საბჭოთა სამბისტმა შეიცვალა თავისი ამპლუა და ძიუდოს ეზიარა. ამან სამბოს შესამჩნევი გაახალგაზრდავება გამოიწვია. დღეს იგი საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და, მაშასადამე, პერსპექტიული სახეობაა. ამის დასტურია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, რომლებსაც საძირკველი ჩაეყარა 70-ანი წლების დამდეგს.

წლევანდელ სასპარტაკიადო ტურნირს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: მან უნდა შეაჯამოს სეზონის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები და შეამოწმოს საბჭოთა სამბისტების მზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალისტები იმიტომ, რომ იგი პირველად ჩატარდება სსრ კავშირში (მინსკი, 17-21 სექტემბერი).

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ტურნირი, რომელმაც უნდა შეამოწმოს სამბოს აწმყო და მომავალი.

ნ. ბუბუშვილი.

4-6 ივლისს

თბილისის სპორტის სასახლეში

ტარდება

სამბისტთა ტურნირი

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით

დასაწყისი: 4 ივლისს — 11 ს. და 18 ს., 5-ში — 10 ს. და 18 ს., 6-ში — 11 ს. და 17 ს.

სასპარტაკიადო კურსით

ტრადიციისამებრ, აკადემიურ ნიჩბოსნობაში მესამე პირველი გამოდის მისადგომზე და ეკიპაჟს წარმატებას ულოცავს. ი. რუდაკოვი, ლენინგრადელი ტაქსის შოფერი, რომელსაც ეს უკვე ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაში დაჰყავს აკადემიური ხომალდები, ასეც მოიქცა. 1 ივლისს მოსკოვში, კრილატსკოეს არხზე დაწყებული ასპარეზობის პირველ სერიაში მისმა გუნდმა ფინალის საგზური მიიღო. რუდაკოვთან ერთად ოთხეულში შევიდნენ კალინინელი ფიზკულტურის ინსტრუქტორი ი. კონოვი, ლენინგრადელი ზეინკალი ა. ივანოვი, ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ე. იანკოვსკი და მისი თანაქალაქელი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ვ. პოტაპოვი.

სპარტაკიადის სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ნიჩბოსნებს უფლება აქვთ ნაკრები ეკიპაჟების შემადგენლობაში გამოვიდნენ — გამარჯვებისთვის ქულები შემდეგ რესპუბლიკებს შორის წარმომადგენლობის პროპორციულად იყოფა. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ნაკრები ეკიპაჟებისთვის სპარტაკიადაში გამოსვლის უფლების მიცემა ბრძოლას სიმწვავეს უკარგავს, ვინაიდან ნაკრები მაინც ძლიერია კლუბზე.

პირველ დღეს ზოგიერთი კლასის ნავებით მაშინვე გამოვლინდნენ ფინალისტები, სხვა კლასებში — ნახევარფინალისტები. ხუთშაბათს მოეწყობა ფინალური სერიების ნაწილი, მერე კი მონაწილენი შეასრულებენ მეორე „ცდას“ სხვა კლასების ნავებით სპარტაკიადის ჯილდოებისთვის ბრძოლაში.

დღეს კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ქალთა შორის ერთადგილიანებით შეჯიბრებაში გ. რამოშკენემ (ლიტვა), ვაჟთა შორის — ნ. დოვგანმა (უკრაინა), ვაჟთა ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით — მოსკოველებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ა. ტიმოშინინმა და გ. კორშიკოვმა.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

რეკორდს მოსვენება არა აქვს

სტოკჰოლმი, 2 ივლისი. (საკდესის კორ.). მართლაც დაუღალავია სტოკჰოლმელი ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. გერდერუდი. მან ამ კვირაში მეორედ და, ახლა თავისი მშობლიური ქალაქის სამეფო სტადიონის ბილიკზე, დაამყარა მსოფლიო რეკორდი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში. ამჯერად მისი შედეგია 8.09,8. გერდერუდის უწინდელი მიღწევა 8.10,4 იყო.

ახალი რეკორდის ნამდვილ „თანაავტორად“ შეიძლება მივიჩნიოთ ევროპის ჩემპიონი, პოლონელი ბ. მალინოვსკი, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა გერდერუდს მთელს მანძილზე. ფინალური ნახევარი წრე ორივე მეტოქემ „სპრინტერულად“ გაირბინა, მაგრამ შვედი უფრო სწრაფი აღმოჩნდა, თუმცა მალინოვსკიმაც გააუმჯობესა, ეს უკვე მეორედ ერთ კვირაში, ეროვნული რეკორდი. პოლონელის დროა 8.12,62. მესამე იყო მ. კირსტი (გფრ) — 8.16,11.

5 კილომეტრზე რბენაში საუცხოო სტილით გაიმარჯვა მსოფლიოს რეკორდსმენმა, ბელგიელმა ე. პუტემანსმა — 13.26,4. მეორე იყო ი. სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი) — 13.27,0.

200 მეტრზე მორბენალ ქალებში გამოირჩეოდა მსოფლიო რეკორდსმენი ი. შევინსკა (პოლონეთი) — 23,1. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჩეხოსლოვაკიელმა ლ. დანეკმა ბადრო 66,10 მეტრზე ტყორცნა. მსოფლიო რეკორდსმენი, ამერიკელი ჯ. პაუელი მეორე აღმოჩნდა — 64,70.

ამერიკელმა მძლეოსნებმა ასპარეზობის მეორე დღეს სამი გამარჯვება მოიპოვეს. რ. კოტინეკმა 221 სმ სიმაღლე გადალახა (მეორე იყო მსოფლიო რეკორდსმენი დ. სტოუნზი — 218 სმ), დ. ხეი 793 სმ სიგრძეზე გადახტა, ლ. ბრაუნმა 200 მეტრის გარბენას 20,94 მოანდომა.

საკდესი მოგვითხრობს

ვინიცის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბი „ოლიმპი“ ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე უკვე მოამზადა 7 სპორტის ოსტატი და 172 პირველთანრიგოსანი. 1000-ზე მეტმა სტუდენტმა მზად კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

სურათზე: ყველაფერი დილის ვარჯიშით იწყება.

„ბურევესტნიკის“ ფარიკაობის სკოლის კლუბში „წკრიალა მახვილი“ 400-მდე ბარნაულელი მოზარდი მეცადინეობს. ნორჩ სპორტსმენთა ოსტატობა ყოველწლიურად მაღლდება. ისინი სულ უფრო დამაჯერებლად გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაში.

სურათზე: ახალგაზრდა მუშაკეტერებთან მეცადინეობას ატარებს სპორტის ოსტატი, კლუბის აღზრდილი ვ. ვედერნიკოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა

● ●

პლუს ერთი ქულით...

მოსკოვი, 2 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ, ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების ჯგუფებში შეხვედრების ბოლო დღემ დაასახელა ფინალური ტურნირის დანარჩენი ორი მონაწილე: ესენი არიან რსფსრ-ს და ყაზახეთის კოლექტივები, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით (3:1) შესაბამისად დაამარცხეს ბელორუსიისა და უზბეკეთის გუნდები.

საქართველოს გუნდი მოლდაველებთან ანგარიშით 2:3 წაგების შემთხვევაშიც კი VII-XII ადგილებისთვის მებრძოლთა შორის ხვდებოდა. ამიტომ ზედიზედ ორი პარტიის მოგების შემდეგ (15:9, 15:13), ჩვენი მოთამაშენი მოდუნდნენ, წააგეს მესამე პარტია (13:15), მაგრამ მეოთხეში კვლავ კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 15:13.

ამრიგად, საქართველოს გუნდი მეორე-ფინალურ ჯგუფში თამაშს იწყებს ერთი ქულით, რომელიც ბელორუსიის ნაკრებთან მოგებისთვის დაეწერა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სომხეთი — ესტონეთი 0:3, აზერბაიჯანი — ლიტვა 0:3, მოსკოვი — ლატვია 3:0, თურქმენეთი — ლენინგრადი — 0:3, ტაჯიკეთი — ყირგიზეთი 0:3.

გუშინწინ უკრაინის ნაკრებმა ანგარიშით 3:2 სძლია რსფსრ-ს გუნდს.

შესარჩევ ტურნირებში ყველაზე ხანმოკლე (35 წუთი) გამოდგა ყირგიზეთისა და სომხეთის გუნდების (3:0) შეხვედრა, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი — (2 საათი და 35 წუთი) უკრაინისა და რსფსრ-ს კოლექტივთა მატჩი.

ჯგუფური ტურნირების შედეგები

I ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	პ.	ქ.
უკრაინა	4	4	0	12—3	4
რსფსრ	4	3	1	11—6	3
საქართველო	4	2	2	9—3	2
ბელორუსია	4	1	3	5—9	1
მოლდავეთი	4	0	4	1—12	0

II ჯგუფი

მოსკოვი	5	5	0	15—1	5
ლატვია	5	4	1	12—6	4
ესტონეთი	5	3	2	12—8	3
ყირგიზეთი	5	2	3	9—9	2
სომხეთი	5	1	4	3—14	1
ტაჯიკეთი	5	0	5	2—15	0

III ჯგუფი

ლენინგრადი	5	5	0	15—1	5
ყაზახეთი	5	4	1	13—4	4
უზბეკეთი	5	3	2	10—8	3
ლიტვა	5	2	3	7—9	2
აზერბაიჯანი	5	1	4	4—12	1
თურქმენეთი	5	0	5	0—15	0

ფინალისტები

I-VI ადგილები

მოსკოვი	1	1	0	3—0	1
ლენინგრადი	1	1	0	3—1	1
უკრაინა	1	1	0	3—2	1
რსფსრ	1	0	1	2—3	0
ყაზახეთი	1	0	1	1—3	0
ლატვია	1	0	1	0—3	0

VII-XII ადგილები

საქართველო	1	1	0	3—1	1
უზბეკეთი	1	1	0	3—1	1
ესტონეთი	1	1	0	3—2	1
ყირგიზეთი	1	0	1	2—3	0
ბელორუსია	1	0	1	1—3	0
ლიტვა	1	0	1	1—3	0

XIII-XVII ადგილები

აზერბაიჯანი	1	1	0	3—0	1
სომხეთი	1	1	0	3—2	1
ტაჯიკეთი	1	0	1	2—3	0
თურქმენეთი	1	0	1	0—3	0
მოლდავეთი	—	—	—	—	—

მშდ კომპლექსი ჩვენს ცხოვრებაში

საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ-კოსმონავტის, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის ა. ლეონოვის ინტერვიუ

„სოიუზ—აპოლონის" პროგრამით კოსმოსური ხომალდების სტარტამდე დათვლილი დღეებიღა დარჩა. მიუხედავად დაძაბული მუშაობისა მომავალი ფრენის წინ, ბაიკონურის კოსმოდრომზე გამგზავრებამდე საბჭოთა ეკიპაჟის მეთაურმა ა. ლეონოვმა შეკითხვებზე უპასუხა საკდესის კორესპონდენტს ჰ. ხაჩკოვანიანს.

● თუ შეიძლება გვიამბეთ, მოკლედ მაინც, ფრენისთვის სპორტული მზადების შესახებ.

— სპორტი, მე ხაზგასმით ვამბობ ამას, მომავალი ფრენის წინ ჩვენი მზადების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. მაგალითად, ჩვენი ეკიპაჟის — ვალერი კუბასოვისა და ჩემი სამუშაო დღე, როგორც წესი, დილის ვარჯიშით იწყება.

მთავარი ფიზიკური მომზადება მე გაზაფხულზე გავიარე. მაგალითად, კოსმოსური სტარტისთვის მზადების დროს ჩავაბარე მშდ კომპლექსის IV საფეხურის („ფიზიკური სრულყოფა", 19-28 წლის ასაკისთვის) ნორმატივები, თუმცა უკვე 41 წლისა ვარ. ჩემთვის ასაკით შესაფერი V საფეხურის („მხნეობა და ჯანმრთელობა") მოთხოვნები დიდი ხანია შევასრულე.

● ახლა?

— ახლა ოქროს სამკერდე ნიშანი დავიმსახურე. ამასთან, ყველა სახეობაში I ადგილები დავიკავე. მხოლოდ ტანვარჯიშში დავთმე გამარჯვება: ჩემზე ახალგაზრდამ მაჯობა.

● ყველაზე რთული რა იყო?

— დიდხანს ვერ ჩავეტიე ცურვის ნორმატივში. ჩვეულებრივ, ბრასს ვამჯობინებ, მაგრამ მობრუნება არ გამომდიოდა. და როცა ბოლოს და ბოლოს 4 წამი ჩამოვაკელი ძველ შედეგს, ასე მეგონა, ჩემპიონი გავხდი-მეთქი.

● თქვენი პარტნიორის საქმე როგორღაა?

— ვალერიმ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ყველა ნორმატივის ჩაბარება, მაგრამ დამპირდა, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, რომ დანარჩენ მოთხოვნებს ფრენის დამთავრების შემდეგ შეასრულებს.

● როდის უფრო რთული იყო ვარჯიში თქვენი პირველი კოსმოსური ფრენის წინ, თუ ახლა?

— მაშინ მარტო ერთ წელიწადში 500 კილომეტრზე გრძელი კროსის დისტანცია გავიარე, ველოსიპედით უკან მოვიტოვე ათასობით კილომეტრი, 300 კილომეტრი გავიარე თხილამურებით და ასობით საათი გავატარე მბრუნავ სტენდზე, ბატუტზე... ყველა ამ დატვირთვის გადატანაში ფიზიკურმა წრთობამ შემიწყო ხელი. სპორტი ხომ მუდამ ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. ჯერ კიდევ ბავშვმა კალინინგრადში ძველი, გადაყრილი ნაწილებისგან ველოსიპედი ავაწყვე და დღეში რამდენიმე ათეულ კილომეტრს გავდიოდი. 15 წლისას უკვე მეორე თანრიგი მქონდა. შემდეგ საფრენოსნო სასწავლებელში სერიოზულად გამიტაცა ფარიკაობამ და I ადგილიც დავიკავე ესპადრონისტთა შეჯიბრებაში. ვთამაშობდი ფრენბურთს, მიყვარდა აფროსნობა.

● შეასრულა თუ არა მშდ კომპლექსმა რაიმე როლი თქვენს ფიზიკურ მომზადებაში?

— გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ჩემი სპორტული ცხოვრება მშდ კომპლექსის ნიშნით ტარდება. მაგალითად, 10 წლისამ იმშთ-ს ნორმები ჩავაბარე. 15 წლისამ მშდ კომპლექსის მეორე საფეხურის სამკერდე ნიშანი მოვიპოვე. მისი ნომერი დღესაც მახსოვს: კ-400080.

მე მომწონს თავად იდეა კომპლექსისა: მისი მიზანია ადამიანის ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება.

მე დედამიწის იმ იშვიათ მცხოვრებთაგანი ვარ, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება კოსმოსი ენახათ. ახლა, როცა ვიგონებ ამ ექსპერიმენტს და ჩემი ამხანაგების გამოცდილებას, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაგარი კუნთები და ნაწრთობი სული აქვს ადამიანს, მზადაა თუ არა იგი შრომისა და ბრძოლისთვის. მშდ კომპლექსი სწორედ ის ჯადოსნური წყაროა, რომლისგანაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ჯანმრთელობა და მხნეობა მიიღოს.

● თქვენ მშდ კომპლექსის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებით. კმაყოფილი ხართ თუ არა საბჭოს მუშაობით?

— ამას წინათ შედგა საბჭოს მორიგი სხდომა. იქ მოყვანილი იყო საინტერესო ციფრები, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩასაბარებლად დაახლოებით 50 მილიონი კაცი ემზადება, ხოლო 37 მილიონმა უკვე მიიღო სამკერდე ნიშანი. ეს კი 20-დან 60 წლამდე ასაკის საბჭოთა ადამიანთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 22 პროცენტს შეადგენს. ამჟამად საბჭოთა კავშირში შექმნილია მშდ კომპლექსისა და საერთო ფიზიკური მომზადების 250 ათასზე მეტი სასწავლო ჯგუფი, რომლებშიც 5 მილიონამდე ადამიანია გაერთიანებული.


ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

შთამბეჭდავი ციფრებია. ისინი გვიჩვენებენ, რომ ბევრი რამ უკვე გაკეთდა. მაგრამ კიდევ ბევრი შეიძლება გაკეთდეს, თუ მშდ კომპლექსის ზოგიერთი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭო ბოლოს და ბოლოს შეიგნებს ამ ღონისძიების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, სისტემატურად იზრუნებს კომპლექსის მასობრივად დანერგვისთვის სისტემატურად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, ზევიდან მითითებათა თანახმად.

ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიზანი ცხოვრებაში, ხოლო წარმატების მოპოვებისთვის საჭიროა კარგი ფიზიკური წრთობა. ამ თვალსაზრისით მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება წარმატების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

რეცენზიის მაგიერ

„ლელოს" ბიბლიოთეკამ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო") ახლახან მკითხველებს მიაწოდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნუგზარ ასათიანის წიგნი „მოფარიკავის ჩანაწერები" (რედაქტორი დ. იუკურიძე).

ნუგზარ ასათიანი მუდამ სპორტსმენისა და მოქალაქის თავისებურ იდეალად მესახებოდა.

ნუგზარს იოლი ბავშვობა არ ჰქონია. იგი ომისდროინდელ თაობას ეკუთვნის და, ბუნებრივია, მისი ყველა ნიშან-თვისება ახასიათებს. იმ თაობის ბავშვები ნაადრევად დაბრძენდნენ, ნაადრევად შეებნენ ცხოვრების უღელში და ასევე ნაადრევად დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება. ეს ყველაფერში მჟღავნდებოდა: სწავლაში, ოჯახის დახმარებაში, უმცროს და-ძმებზე ზრუნვაში, უტეხ და ურყევ ბუნებაში. სხვათა შორის, იმ თაობის ბავშვები ლამის მამაკაცური სიდინჯითა და გულდაჯერებით მისდევდნენ სპორტს, ახალაშლილ ულვაშს სხვა თანატოლებივით არ იფხეკდნენ და, შესაძლოა, ესეც ხაზს უსვამდა მათ „მამაკაცურ" გარეგნობას.

ახლა მათი სპორტული სამოსი უნდა გენახათ! არც ერთს ერთნაირი სპორტული ფორმა არ ჰქონია, ხოლო ნუგზარ ასათიანი, თავისი თანატოლების დარად, პირველ შეჯიბრებაში ჩვეულებრივი ფეხსაცმლით გამოვიდა სარბიელზე. თბილისის მოსწავლეთა ის პირველი შეჯიბრება მე არ მინახავს, რადგან ნუგზარზე რამდენიმე წლით უმცროსი ვარ, მაგრამ სხვა „კურიოზები" კი კარგად მახსოვს. როცა პატივი დამდეს და მუშკეტერად მაკურთხეს, ნუგზარს უკვე შეუვალი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მეგობარ-ამხანაგებში. საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონობაზე რომ არაფერი ვთქვა, მისთვის ჯერ კიდევ შორეული ოცნება იყო, მაგრამ უკვე გამოირჩეოდა მეგობრებში დიდი მიზანსწრაფვით, ანალიტიკური გონებით და ფიზიკურ-ტაქტიკური მომზადებით. და აი, კაცს რომელიც საყოველთაო აღიარების ზღურბლთან იდგა, ისეთი სპორტული ტანსაცმელი და იარაღი ჰქონდა, რომელსაც დღევანდელი ახალბედაც კი არ გაიკარებს ახლოს. მერე და მერე, რა თქმა უნდა, ცხოვრების პირობები შეიცვალა, მაგრამ ნუგზარს თავისი ძველებური ჩაცმულობისთვის არ უღალატნია.

მძიმეა ჩემპიონის ტვირთი. ჩემპიონობა ამა თუ იმ სპორტსმენის გარშემო თითქოს რაღაც მიკროკლიმატს ქმნის, რომელსაც ბევრის თვალში განსაკუთრებულობის ბეჭედი აზის. ჩემპიონს ზოგჯერ მეგობრებიც კი უცნაური და შეუფერებელი კრძალვა-რიდით მიმართავენ, მის ყოველ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, თითქოს ის უწინდელი ჩვეულებრივი ჭაბუკი არ იყოს, რომელიც რაღაც ორი თუ სამი წლის წინათ მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან. და ხშირად ასე ხდება: ერთი ხანობა ჩემპიონი ძველებურ ჭაბუკად რჩება, მაგრამ ბოლოს ძალაუნებურად, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად, ამპარტავნულად დაუწყებს ყურებას თავის კოლეგებს. ამ სამწუხარო ამბავს ჩვენი სპორტისთვის ხშირად აუნაზღაურებელი მორალური ზარალი მოაქვს და შედეგებზეც ძალიან მოქმედებს.

ნუგზარ ასათიანის შესახებ ეს არ ითქმის. მისი დამოკიდებულება მეგობარ-ამხანაგებისადმი უცვლელი დარჩა. ისევ ის თავმდაბლობა, ისევ ის მორიდება, და ბოლოს უცვლელად დარჩა უკმარობის გრძნობა, რომელიც ნუგზარს აფიქრებინებდა, რომ თვით ოლიმპიური და მსოფლიო მწვერვალების დაპყრობის შემდეგაც კი ბევრი რამ ჰქონდა სასწავლი ფარიკაობაში.

მარცხს იგი მშვიდად ხვდებოდა. არასოდეს არავისთვის არ გადაუბრალებია წაგება. არც მეტოქესთან და მსაჯებთან მოკამათე ნუგზარი უნახავს ვინმეს.

რომის ოლიმპიადიდან დაბრუნებულს ზოგიერთი ჭირვეული ჩემპიონივით არ უთაკილია მონაწილეობა საქართველოს თასის გათამაშებაში. გასაგებია, ყველას ერთი სული ჰქონდა „გამოეცადა" იტალიიდან დაბრუნებული სპორტსმენი. თქვენ წარმოიდგინეთ, ნუგზარმა ნახევარფინალში ერთ რიგით მოფარიკავესთან წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. ზოგიერთმა ყალბმა თაყვანისმცემელმა ფარისევლურად შეიცხადა: ეს როგორ დაგემართაო.

— მე ვიბრძოდი სპორტსმენთან, რომელსაც ისევე სწყუროდა გამარჯვება, როგორც ყველას. ეტყობა, ჩემი მეტოქე ამჯერად უფრო ძლიერი იყო და ჩემს დამარცხებაში არაფერი უცნაური არ არის, — ასეთი პასუხი გასცა ნუგზარმა „შეშფოთებულ" გულშემატკივრებს. ეს არ ყოფილა ლიტონი სიტყვები, ანდა მოჩვენებითი თავმდაბლობით თავის მოწონება. ასეთი იყო ნუგზარ ასათიანი სპორტში ფეხის ადგმიდან, ანუ 1951 წლიდან, ვიდრე 1972 წლამდე, როცა საბოლოოდ ჩამოკიდა ხმალი კედელზე.

როცა ვკითხულობდი ნუგზარ ასათიანის ავტობიოგრაფიულ წიგნს „მოფარიკავის ჩანაწერები", ყოველივე ის, რაზეც ზემოთ ვწერ, გამახსენდა და მესიამოვნა. იგი ამ წიგნშიც ძველი ნუგზარ ასათიანია — თავმდაბალი, მორიდებული, სხვების მიმართ უაღრესად ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანი. ამ აზრით წიგნს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ავტობიოგრაფიული, ვინაიდან მის მთავარ გმირებად პირველ ყოვლისა გვევლინებიან ჩემპიონის კოლეგები, მეტოქეები, მწვრთნელები, ის განუმეორებელი სტიქიონი, რომელსაც დიდი სპორტი ჰქვია. მაინც რაოდენ საინტერესო და მისასალმებელია, როცა დილეტანტის თვალით კი არა, საქმეში ღრმად ჩახედული, მრავალბრძოლაგადახდილი და მრავალჭირნახული დიდი სპორტსმენის თვალით აღვიქვამთ საკავშირო და მსოფლიო მასშტაბის საფარიკაო მოვლენებს. როცა არ კეთდება საეჭვო, სათუო ანალიზი კონკრეტული სპორტსმენის შედეგებისა, როცა მას სხვის აზრებს არ მიაწერენ.

ლელო
მოფარიკავის ჩანაწერები

ვისთან არ უბრძოლია ნუგზარ ასათიანს სამყაროს უძლიერესი მოფარიკავის სახელისთვის, რომელ ტიტულიან ფარიკაობის ჯადოქარს არ გადაჰყრია ბილიკზე, მაგრამ ვერც ერთი ბრძოლის აღწერისას ვერ შეხვდებით გამარჯვების აღტაცებით გამოწვეულ ყიჟინას. ეს არის დაკვირვებული ანალიზი, ბრძოლის დიალექტიკის ამოცნობის სურვილი, მეტოქეთა პორტრეტები.

ასე გამოჩნდებიან წიგნში პავლოვსკი, პეჟა, კალარეზე, კარპატი, რილსკი, ტიმლერი, კუზნეცოვი, მავლიხანოვი... განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი წერს ნუგზარი ქართველ მოფარიკავეებზე, ფარიკაობის ქართული სკოლის დიდ ტრადიციებზე, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც თვითონ იყო. ახლა მწვრთნელების, აღმზრდელების პორტრეტები? ძნელია ხათუზე დაწერილი სტრიქონების წაკითხვისას ავტორისადმი მადლიერების გრძნობით არ განიმსჭვალო.

„მოფარიკავის ჩანაწერების" ბოლო გვერდზე ნუგზარ ასათიანი თითქოს აჯამებს მთელ თავის სპორტულ ცხოვრებას. ეს არის თავისებური აღსარება კაცისა, სპორტსმენისა, მოქალაქისა, რომელსაც ბევრი, ძალიან ბევრი უნახავს და გამოუცდია. აი, ეს „აღსარებაც": „მინდოდა დამეწერა ფარიკაობაზე, მეგობრებზე, სპორტულ ასპარეზობებზე, ისე, როგორც მათ თავის დროზე ვხედავდი. მინდოდა მეჩვენებინა, ეს განსაკუთრებით ეხება მოზარდ თაობას, რომ სპორტი, კერძოდ, ფარიკაობა, ია-ვარდით მოფენილი გზა როდია. იგი, უპირველეს ყოვლისა, არის შრომა, დაძაბული შრომა, ურომლისოდაც ჯერ არავის გაუმარჯვნია... ვერც ერთ წიგნში ვერ ამოვიკითხავდი, რაც წლების მანძილზე მიჩვენა, ამიხსნა და გამაგებინა სპორტულმა სამყარომ".

ძნელია არ დაეთანხმო დიდი სპორტსმენის ამ სიტყვებს მას შემდეგ, რაც წიგნს წაიკითხავ.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

მუშკეტერები თავს იყრიან

●

მასპინძელთა გეგმები

●

ბუდაპეშტი, 2 ივლისი. (საკდესი). მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთის დედაქალაქში 11 ივლისს გაიხსნება, მაგრამ მონაწილეთა ჩამოსვლა უკვე დაიწყო. პირველნი ჩამოვიდნენ შორეული ავსტრალიის წარმომადგენლები გ. ბენკოე და ე. სიმონი. უახლოეს დღეებში ელიან მექსიკელებს, კანადელებს, აზიის ქვეყნების სპორტსმენებს...

ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განაცხადები 37 ქვეყანამ წარმოადგინა, საიდანაც 500-ზე მეტი მოფარიკავე ჩამოვა. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი ჩემპიონატი, რომლის მონაწილეებიც 1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის თავიანთს ძალასა და უნარს მოსინჯავენ. როგორც ცნობილია, ფარიკაობა ერთ-ერთი ყველაზე მყარი ოლიმპიური სახეობაა: იგი ჩვენი დროის ყველა ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა.

როგორც ყოველთვის, შეჯიბრებას ტონს სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები მისცემენ.

სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე მხოლოდ 50-იან წლებში გამოვიდა, 16-ჯერ მოიგო საერთო გუნდური პირველობა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

რაც შეეხება უნგრელ სპორტსმენებს — თანამედროვე ფარიკაობის ერთ-ერთ კანონმდებლებს — 1896 წლის ათენის ოლიმპიადიდან მოყოლებული, მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებში მათ ყველაზე მეტი (88) ოქროს მედალი მოიპოვეს.

უნგრეთის ახლანდელი ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადების ექვსი ჩემპიონია. თავისებური სენსაციაც მოხდა: გუნდში შეიყვანეს 38 წლის რაპირისტი ე. კამუტი, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სპორტს თავი დაანება, მაგრამ წლეულს... დაუბრუნდა მას — მეექვსედ მოიგო ეროვნული პირველობა.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბუდაპეშტში აშენდა ახალი მრგვალი დარბაზი, სადაც ათი საფარიკაო ბილიკის მოწყობა იქნება შესაძლებელი. შეჯიბრების ორგანიზატორები აპირებენ გამოფენის გახსნას, რომელიც ფარიკაობის ისტორიას მიეძღვნება, ჩაატარებენ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე — „მედიცინა და პედაგოგიკა ფარიკაობაში", გამოუშვებენ სპორტის ამ რომანტიკული სახეობისადმი მიძღვნილ ორ წიგნს.

ფეხბურთი
'75

შესარჩევი მატჩი

სტოკჰოლმი, 1 ივნისი. გაიმართა ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფის მორიგი კალენდარული მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (1:0). ნორვეგიელთა კარში ბურთები გაიტანეს ნორდალმა (2) და გრანმა (პენალტით).

ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	4	3	0	1	8—4	6
ჩრდ. ირლანდია	3	2	0	1	4—2	4
შვეცია	3	1	0	2	4—5	2
ნორვეგია	4	1	0	3	5—10	2

უეფა იუწყება

საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა. ევროპაში 210481 კლუბია, 402665 გუნდი, 14392796 ფეხბურთელი. მსაჯის კვალიფიკაცია ევროპაში 252147 კაცს აქვს.

ყველაზე დიდია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია: 50163 კლუბი, 4300000 ფეხბურთელი, 94000 მსაჯი. მომდევნო ადგილზეა გფრ — 16890 კლუბი, 3199569 ფეხბურთელი, 34100 მსაჯი. შემდეგ მოდიან ინგლისის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის ფედერაციები.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● **ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).**

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. შემდეგ ანგარიში გახსნა არმიელმა დვალიშვილმა, მაგრამ მერე უპირატესობა ხელთ იგდეს სტუდენტებმა, რაც დამთავრდა ივანოვისა (2) და დარახველიძის მიერ გატანილი გოლებით.

● **„დინამო“ (სოხუმი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

დინამოელთა უპირატესობას პირველ ტაიმში მოჰყვა ხარტაკოპულოს მიერ გატანილი 2 გოლი. შემდგომ სტუმრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება (ტროშინი) შეძლეს.

● **„შუქურა“ (ქობულეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).**

ბურთები ყვარლელთა კარში გაიტანეს ძმებმა კვიტაიშვილებმა.

● **„განთიადი“ (თბილისი) „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

● **„ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

მასპინძლები საგრძნობი უპირატესობით თამაშობდნენ, მაგრამ მათი მეკარის შეცდომა 23-ე წუთზე კარგად გამოიყენა გორელმა ნოზაძემ. ეს ანგარიში ბოლომდე შემორჩა თამაშს, თუმცა „ივერიას“ არაერთხელ შეეძლო თავი დაეღწია დამარცხებისთვის.

● **„მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).**

გოლი, რომელმაც თბილისელებს გამარჯვება მოუტანა, შესვენებამდე გაიტანა გილაურმა. ტყიბულელმა ბოჭორიშვილმა ვერ გამოიყენა ლოკომოტიველთა კარში 88-ე წუთზე დანიშნული პენალტი.

● **„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).**

ბურთი გაიტანა ქაჩიბაიამ.

● **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:3. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

გეგეჭკორელმა ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით, კოლექტიურად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. მე-10 წუთზე ანგარიში გახსნა სალხინოელმა ოდიშარიამ. ეს გოლი გაქვითა კვარაცხელიამ, მაგრამ მეორე ტაიმში კანკავამ და გაგუამ კვლავ დააწინაურეს „სალხინო“. მატჩის დასასრულს გეგეჭკორელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი დარტყმა მიზანს ააცდინა სულთანიშვილმა.

● **„იმერეთი“ (წულუკიძე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

წულუკიძელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ანდრიაძემ, ხოლო ფოთელთაგან — სიჭინავამ.

● **„კოლხეთი“ (ხობი) — „ვარძია“ (ასპინძა) 5:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

ასპინძის ფეხბურთელები, ეტყობა, მხოლოდ ვალის მოსახდელად ჩავიდნენ ხობში, ვინაიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათმეს თამაში. ხობელთაგან 3 ბურთი გაიტანა ჩხარტიშვილმა, თითო — ბუბუტეიშვილმა და ფარცვანიამ, ხოლო საპასუხო — ქავთარაძემ.

• • •

თბილისის არმიელთა გუნდისა და გეგეჭკორის „სალხინოს“ შეხვედრაში არმიელებმა მინდორზე გამოიყვანეს სამი განუცხადებელი ფეხბურთელი, რისთვისაც წაგება ჩაეთვალათ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	19	14	4	1	43—23	32
„მაღარ.“	17	13	3	1	43—7	29
ფიზკ. ინსტ.	19	9	6	4	32—19	24
„სალხინო“	19	9	6	4	27—16	24
პოლ. ინსტ.	18	10	3	5	44—23	23
„იმერეთი“	19	9	5	5	23—18	23
„ქართლი“	18	7	7	4	28—26	21
სახ. უნივერ.	15	8	4	3	23—15	20
„შუქურა“	19	5	10	4	22—24	20
„ამირანი“	18	7	6	5	14—18	20
„ივერია“	19	6	7	6	17—14	19
„კოლ.“ (ფ.)	18	8	2	8	20—20	18
„დურუჯი“	19	6	6	7	17—24	18
„კახეთი“	18	7	3	8	24—16	17
„მეშახტე“	19	6	4	9	27—29	16
ასკ (თბ.)	19	6	3	10	29—30	15
„განთიადი“	19	5	5	9	18—24	15
„ეგრისი“	18	4	6	8	20—33	14
„მეტალურ.“	19	5	3	11	18—29	13
„კოლ.“ (ხ.)	19	3	5	11	17—39	11
„ლოკომ.“	19	3	4	12	10—35	10
„ვარძია“	19	0	4	15	13—47	4

II ჯგუფი

I ზონა

„ყინცვისი“ (ქარელი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:1, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 4:3, „სამცხე“ (აწყური) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 6:3, „განახლება“ (ადიგენი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1, „განთიადი“ (კასპი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0, „ფოლადი“ (რუსთავი) — „არაგვი“ (მცხეთა) 0:1.

II ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „მზიური“ (გალი) 3:2, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 4:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 3:0, „სულორი“ (ვანი) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 2:0, „მშენებელი“ (ბათუმი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1. სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ქუთაისის „დინამოსთან“.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„განახლება“	13	11	1	1	30—9	23
„არაგვი“ (მცხეთა)	13	10	2	1	48—23	22
„პოლიტექ.“	13	8	3	2	27—15	19
„ფოლადი“	13	7	2	4	29—18	16
„ჩამომსხმ.“	13	8	0	5	28—24	16
„განთიადი“	13	6	3	4	18—14	15
„არაგვი“ (დუშეთი)	13	6	2	5	40—35	14
„მესხეთი“	13	5	3	5	26—21	13
„მადნეული“	13	4	5	4	25—26	13
„სპარტაკი“	13	5	2	6	25—19	12
„სამცხე“	12	5	2	5	27—23	12
„ალაზანი“	12	3	4	5	21—28	10
„ყინცვისი“	13	3	1	9	15—28	7
„ჰერეთი„	13	2	3	8	24—50	7
„ქიმიკოსი“	13	1	3	9	11—30	5
„ცისკარი“	13	0	2	11	13—44	2

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ენერგეტ.“	12	9	1	2	27—9	19
„კოლმეურ.“	11	9	0	2	25—10	18
„გიგანტი“	12	7	2	3	28—15	16
„მექალალდე“	11	7	1	3	26—13	15
„ჩიხურა“	11	6	3	2	19—10	15
„ბახმარო“	11	5	3	3	17—11	13
„სულორი“	11	5	3	3	19—18	13
„მშენ.“ (ბ.)	12	4	3	5	17—18	11
ხდკ (სამ.)	11	4	2	5	16—24	10
„დინამო“	12	3	3	6	15—26	9
„ნაკადული“	11	3	1	7	8—17	7
„სამგურალი“	11	2	2	7	15—26	6
„მზიური“	11	2	0	9	17—30	4
„მშენ.“ (ჭ.)	11	0	2	9	13—35	2

პირველიდან უკანასკნელამდე

ასეთი კურიოზი იშვიათია ფეხბურთის ისტორიაში. კოპენჰაგენის კლუბი „ჰვიდოვრე“ 1974 წელს დანიის ჩემპიონი იყო და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. იმავე „ჰვიდოვრემ“ 1975 წლის ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ადგილი დაიკავა და დატოვა უმაღლესი ლიგა.

ასეთია ამერიკული რეკორდი

პელეს პირველივე მატჩმა ნიუ იორკის „დაუნინგ სტადიონზე“ ეროვნული რეკორდი დამყარდა მაყურებელთა დასწრების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ევროპის ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გარკვეული ცდების მიუხედავად, მაინცდამაინც პოპულარული არ არის. ახლა აშშ-ს ფეხბურთის ფედერაცია პელეს და სხვა ვარსკვლავების მეოხებით ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას.

„კოსმოსის“ მატჩზე მივიდა 21268 მაყურებელი, რაც სარეკორდოდ ჩაითვალა. ეს საფეხბურთო მატჩი პირველი იყო აშშ-ს ისტორიაში, რომლის პირდაპირი ტრანსლაციაც მოეწყო ტელევიზიით. აქამდე ტელევიზია ჩვეულებრივ, მატჩების ვიდეოჩანაწერის გადაცემით კმაყოფილდებოდა.

მუშტი-კრივიც ამას ჰქვია

უცნაური ამბის მხილველნი გახდნენ პერუელი გულშემატკივრები, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩს ესწრებოდნენ ჩიმბოტაში. როდესაც მსაჯმა მონტეიომ ერთ-ერთი ბურთი ჩათვალა, გვერდითმა მსაჯმა მორიოტემ ალამი ასწია და თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. ფეხბურთში ეს ხშირად ხდება, მაგრამ შემდგომი ამბები კი, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გახლდათ. როცა გვერდითი მსაჯი დარწმუნდა, რომ არბიტრი მის სიგნალს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, იგი მინდვრის ცენტრისკენ გაემართა და მონტეიოს კამათი დაუწყო. მოკამათენი სულ უფრო ცხარდებოდნენ. არბიტრი და გვერდითი მსაჯი ჯერ ხმამაღლა ილანძღებოდნენ, მერე კი კარგა ლაზათიანად დასცხეს ერთმანეთს. ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, მსაჯების გამოველებას შესდგომოდნენ.

რა თქმა უნდა, პერუს ფეხბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მისცა ორივე „მოკრივეს“.

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 19-22 ივნისი. მძლეოსნობა.

გოგონები. რბენა. 100 მ. ს. ძნელაძე (აჭარა) — 13,0, ო. ვიქტოროვა (აფხაზეთი) — 13,2, ი. მაჩაიძე (თბილისი) — 13,4, 200 მ. ს. ზენკო (აჭარა) — 27,6, მ. არაქელოვა — 27,8, ი. ზარუბინა (ორივე — თბილისი) — 27,8; 400 მ. ა. კუროვსკაია (თბილისი) — 1.00,4, ვ. მიხაილიცკაია (აჭარა) — 1.02,8, ტ. ხელინა (თბილისი) — 1.03,2; 800 მ. ლ. პილშჩიკი (ახალციხე) — 2.24,8, ე. ბელენკო — 2.31,9, მ. გრაფოვა (ორივე — თბილისი) — 2.35,0; 1500 მ. ლ. ზიმინა — 5.33,6, ტ. ბუზულევა (ორივე — თბილისი) — 5.38,0, მ. ჭელიძე (წულუკიძე) — 5.55,6. ესტაფეტა. 4×100 მ. აჭარა (ძნელაძე, მ. გალაევა, მიხაილიცკაია, ზენკო) — 51,2, აფხაზეთი — 52,2, ქუთაისი — 52,7; 4×400 მ. ქუთაისი (თ. რედკოზუბოვა, ქ. იაანიშვილი, ნ. ხვედელიძე, ლ. შავგულიძე) — 4.28,4. 100 მეტრზე თარჯრბენი. მ. რულკო (აფხაზეთი) — 17,3, ნ. ზინოვიევა — 18,0, ო. გოლუბევა (ორივე — თბილისი) — 19,5. სიგრძეზე ხტომა. მ. ქორფაშვილი — 519, ი. ტაზაგულოვა (ორივე — თბილისი) — 498, ი. კვაჭანტირაძე (მახარაძე) — 486. სიმაღლეზე ხტომა. ა. ჩიჩევა — 155, ე. გოლოვკოვა (ორივე — თბილისი) — 150, მ. მხეიძე (მახარაძე) — 145. ბადროს ტყორცნა. თ. წოწკოლაური (თბილისი) — 36,36, ლ. ჩოხელი (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 34,66, ე. ჯეჯელავა (აფხაზეთი) — 33,22. შუბის ტყორცნა. ს. გუმბა (აფხაზეთი) — 38,12, ც. ხახიაური (დუშეთი) — 35,62, რ. ჭინჭარაული (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 34,24. ბირთვის კვრა. ა. მარგოშვილი (ახმეტა) — 12,63, დ. ჭინჭარაული (თიანეთი) — 10,13, თ. მაისურაძე (ონი) — 9,66. ხუთჭიდი. ი. ამოსოვა — 3334 ქულა, მ. ჯავახიშვილი (ორივე — თბილისი) — 3165, ლ. სანჯანოვა (აჭარა) — 2866.

ჭაბუკები. რბენა. 100 მ. გ. ბალაშვილი (თბილისი) — 10,8, გ. მამაგეიშვილი (ქუთაისი) — 11,3, ი. ბონდარენკო (გარდაბანი) — 11,4; 200 მ. ი. ვოლკოვი (აფხაზეთი) — 23,7, ი. კოჩიევი (რუსთავი) — 23,7, შ. კუნჭულია (აჭარა) — 24,3; 400 მ. ვ. ომელჩენკო (თბილისი) — 53,0, მ. ბურჯგულაშვილი (აჭარა) — 53,2, ლ. ჩურკინი (თბილისი) — 53,4; 800 მ. ო. ტერსენოვი (თბილისი) — 2.01,8, ვ. დომაძეროვი (ქუთაისი) — 2.03,5, ი. ვაგინი (ზუგდიდი) — 2.08,7; 1500 მ. ე. მალიუკი (აფხაზეთი) — 4.21,6, გ. გვარამაძე (ახალციხე) — 4.22,2, ა. ცეცხლაძე (მახარაძე) — 4.25,6; 5000 მ. თ. ლომიძე (თბილისი) — 17.43,0, ვ. გაბეჩავა (ზუგდიდის რ-ნი) — 21.34,4. ესტაფეტა. 4×100 მ. № 1 სპორტსკოლა-ინტერნატი (ზ. შათირიშვილი, ო. კვანტალიანი, მ. ცხადაია, ლ. ფარცვანია) — 44,6, თბილისი — 44,9, ქუთაისი — 45,0; 4×400 მ. თბილისი (ომელჩენკო, ტერსენოვი, ს. ქარაფიშვილი, ა. უშაკოვი) — 3.30,8, ქუთაისი — 3.40,2. თარჯრბენი. 110 მ. ლ. ფარცვანია (ხობი) — 15,8, ა. ახვლედიანი (თბილისი) — 16,1, მ. გორდაძე (ქუთაისი) — 17,3; 400 მ. ა. უშაკოვი (თბილისი) — 57,2, ვ. მითაგვარია (რუსთავი) — 58,4, თ. ქოლაძე (ქუთაისი) — 58,8. 2000 მ. წინაღობებით. ს. კაიფაჯიანი (ახალციხე) — 6.54,3, მ. ვარდანაძე (წყალტუბო) — 7.16,5, თ. თოდრაძე (მახარაძე) — 7.32,7. 10 კმ-ზე სპორტული სიარული. ზ. ჰუსეინოვი (თბილისი) — 53.14,8, ბ. ტაგიევი (რუსთავი) — 54.37,6, ტ. მურაჩაშვილი (თბილისი) — 57,07,6. სიგრძეზე ხტომა. გ. ღუბელაძე (ზუგდიდის რ-ნი) — 673, მ. ცხადაია (ზუგდიდი) — 662, ა. კუნჭულია (მახარაძე) — 652. სიმაღლეზე ხტომა. გ. სავჩენკო (თბილისი) — 200, ა. ილინი (ფოთი) — 193, ვ. ნოზაძე (თბილისი) — 193. სამხტომი. ა. სხირტლაძე (თბილისი) — 13,42, ბ. ფესტვენიძე (ქუთაისი) — 13,34, ბ. კოვალსკი (თბილისი) — 13,26. ჭოკით ხტომა. ო. ლახმინი — 440, ა. პეტროსიანი (ორივე — თბილისი) — 380. ბადროს ტყორცნა. პ. გოგიშვილი (დუშეთი) — 40,90, გ. ჯაჭვაძე (გურჯაანი) — 39,16, ა. მჭედლიძე (თბილისი) — 38,06. შუბის ტყორცნა. ც. ბურკიშვილი (ახმეტა) — 58,04, ა. თედეევი (ცხინვალი) — 51,38, თ. ზვიადაური (თიანეთი) — 50,90. უროს ტყორცნა. ვ. დელიბაშვილი — 52,58, გ. მელიქიძე (ორივე — თბილისი) — 43,06, რ. ბედუკაძე (გარდაბანი) — 37,26. ბირთვის კვრა. თ. ნაცვალაძე (მახარაძე) 14,49, ვ. პონომარენკო (აფხაზეთი) — 11,92, რ. გოგიჩაიშვილი (ბორჯომი) — 11,57. ათჭიდი. ზ. ზურაბიშვილი (ახმეტა) — 6397, ვ. ყაველაშვილი (ონი) — 5830, ე. ქორთიევი (№ 1 სპორტსკოლა-ინტერნატი) — 5527.

გუნდური შედეგები. I ჯგუფი. გოგონები. თბილისი — 5037 ქულა, აჭარა — 568, ქუთაისი — 533; ჭაბუკები. თბილისი — 9032, ქუთაისი — 8417, აჭარა — 1624. II ჯგუფი. საერთო. ახმეტა — 8235, ონი — 5830, რუსთავი — 1145.

საჯარიმო ფურცელი

განვლილ მატჩებში კვლავ იყო წესრიგის დარღვევის შემთხვევები. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს აწყურის „სამცხის“ ფეხბურთელი ნ. შევჩენკო. ამას გარდა, აწყურის სტადიონზე მატჩის მსვლელობისას არ იყო წესრიგი თამაშში გარეშე პირთა ჩარევის გამო. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველო აფრთხილებს აწყურის სტადიონის დირექციას, რომ მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში სტადიონს დისკვალიფიკაცია მიეცემა.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ლაგოდეხის „ჰერეთში“ გამეფებულ უწესრიგობას. ერთ-ერთ მატჩში მინდვრიდან გააძევეს ფეხბურთელი ვ. ბიწაძე, ეს კი „ჰერეთისთვის“ მესამე შემთხვევაა წელს. საინტერესოა, რას იტყვიან ამის თაობაზე ლაგოდეხის სპორტული მესვეურნი?

მეორე გაფრთხილება მიიღეს მიმდინარე სეზონში ს. ნუცუბიძემ (ვანის „სულორი“) და ლ. ლევიემ (თბილისის ასკ).

გაფრთხილებული არიან ა. დანელია (გეგეჭკორის „სალხინო“), ო. ზუბიაშვილი, თ. ტალახაძე (ორივე — ყვარლის „დურუჯი“), დ. ჯანიაშვილი (სიღნაღის „ცისკარი“) და ზ. ნემსაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ცისფერი კვარცხლბეკის ჩემპიონები

ორიოლი, 1 ივლისი. რსფსრ-ს ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონობა საპლანერო სპორტში კრასნოდარელმა ლ. პარხომცევმა და ორიოლის ოლქის წარმომადგენელმა თ. ზაგაინოვამ მოიხვეჭეს. მათ გადაეცათ ოქროს მედლები ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებისთვის, რომლებშიც 9 ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სპორტსმენებმა უმოტორო აპარატებით 20 ათასი კილომეტრი იფრინეს, სანამ მსაჯთა კოლეგია გამარჯვებულებს დაასახელებდა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო კრასნოდარის მხარის ნაკრები.

[illegible]

ძაღლი — მარათონელის მეგზური

ამერიკელ ჯ. ფერიმენს, რომელმაც აშშ-ს ჩემპიონატში მარათონულ რბენაში IX ადგილი დაიკავა, მოგვიანებით მსაჯთა კოლეგიამ დისკვალიფიკაცია მისცა. როგორც გამოირკვა, გზაში მან მოხეტიალე ძაღლი დაიჭირა და მანძილის დიდი ნაწილი ისე გაირბინა, იგი კისერზე დამაგრებული ბაწრით ეჭირა.

მსაჯთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ფორმენმა ასეთი უცნაური საქციელით დაარღვია შეჯიბრების დებულება.

მიზანმა ააგულიანა

როგორც ვიუწყებოდით, დეჩინის (ჩეხოსლოვაკია) ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატმა თამაზ გიორგაძემ შესანიშნავი თამაშით საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი მეორედ შეასრულა, რაც ამ წოდების მიღების უფლებას აძლევს.

ამ ორიოდე დღის წინათ ნიჭიერი მოჭადრაკე თბილისში დაბრუნდა. მას შეხვდა ჩვენი კორესპონდენტი, მიულოცა წარმატება და ესაუბრა.

● შარშან „ლელოს“ ფურცლებზე დაიწერა დეჩინის საერთაშორისო ტურნირში თქვენი გამარჯვების შესახებ. ჩვენმა მკითხველებმა იციან ისიც, რომ დეჩინელებმა კვლავ მიგიწვიეს სათამაშოდ, რით გამოირჩეოდა წლევანდელი ტურნირი?

— ამჯერად მასპინძლებმა ნამდვილი საჭადრაკო ფესტივალი გამართეს: ერთდროულად მოაწყვეს ვაჟთა, ქალთა და ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირები. ფესტივალი მიეძღვნა ფაშისტური უღლისგან საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების 30 წლისთავს. დეჩინში საბჭოთა მოჭადრაკეებიდან მარკ ტაიმანოვი, მაია რანიკუ და მე ვთამაშობდით.

ჩვენი ტურნირი წინა ოთხი შეჯიბრებისგან იმით გამოირჩეოდა, რომ სარბიელზე პირველად გამოდიოდნენ საერთაშორისო დიდოსტატები და ფიდე-ს მიერ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივიც იყო დაწესებული.

● როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა?

— შედეგები აქ მოტანილ ცხრილშიც კარგად ჩანს. I ადგილისთვის კი სპორტული ბრძოლა ძირითადად ტაიმანოვსა და ჩემს შორის გაჩაღდა.

ტაიმანოვმა თანაბრად განვლო მთელი შეჯიბრება. მისი თამაში დიდი მოწონებით სარგებლობდა. მე საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის ვიბრძოდი, რაც, ცხადია, კიდევ უფრო მაგულიანებდა. პირველ ტურში დიდოსტატ ბარცასთან ყაიმის შემდეგ (მოსაგები პარტია მქონდა), მეორე დღეს მოვუგე შოტლანდიის მრავალგზის ჩემპიონ პრიტჩეტს. სხვათა შორის, ეს ის პრიტჩეტია, რომელსაც შეეძლო კარპოვი დაემარცხებინა XXI ოლიმპიადაში, მაგრამ ვერ მიაგნო მოგების გზას. ეს გზა მას შემდეგ დეპეშით აცნობა... ფიშერმა.

მესამე ტურიდან სამი პარტია ყაიმით დავამთავრე. მეექვსე ტურიდან ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოვიგე და ერთპიროვნული ლიდერიც გავხდი. ამ დროს რეალური შანსი შემექმნა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის შესრულებისა. ეს ტაიმანოვმაც იცოდა და ღიმილით მარიგებდა, სხვა მეტოქეებთან ყაიმს დასჯერდით. იღიმებოდა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში I ადგილი მას დარჩებოდა. ბოლოს მაინც მისებურად გამოვიდა. ვიბრძოდი, მაგრამ ვერც ერთი პარტია ვერ მოვიგე. მე რომ ყაიმებს ვურიგდებოდი, ტაიმანოვმა გამასწრო, ხოლო გერმანელმა დიდოსტატმა მალიხმა ზედიზედ სამი პარტია მოიგო და დამეწია. კოეფიციენტთა ცხრილმა II ადგილი მაინც მე მარგუნა. ჩემთვის მთავარი საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის შესრულება იყო.

● ეს უკვე მეორედ შეასრულეთ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი. ახლა როგორ იქნება საქმე? ფიდე-ს წესებით, ამ წოდებას საერთაშორისო ოსტატებს ანიჭებენ, თქვენ კი, რამდენადაც ვიცით, ეს წოდება არა გაქვთ.

— საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღები ნორმატივი სამჯერ შევასრულე. ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, ჩეხოსლოვაკიელმა შაიტარმა, რომელიც დეჩინში ჩამოვიდა, მითხრა: ფიდე-ს პირველსავე კონგრესზე საერთაშორისო ოსტატის წოდებას მოგანიჭებთ, საერთაშორისო დიდოსტატის ბალები არ დაგეკარგებათ და კონგრესი გაისად საერთაშორისო დიდოსტატის წოდებასაც მოგაკუთვნებთო. ისღა დამრჩენია, დავუცადო ფიდე-ს კონგრესებს. საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ კი პერსონალურად, როგორც დიდოსტატი, დამიშვა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში, საიდანაც შეიძლება ჩემპიონატის უმაღლესი ან პირველი ლიგების ტურნირებში გასვლა.

● იქნებ გვიჩვენოთ დეჩინის ტურნირიდან თქვენი რომელიმე საინტერესო პარტია.

— შემოგთავაზებთ ჩემს ორ პარტიას. სადებიუტო ბრძოლას ფსიქოლოგიური ელფერი აქვს. ეს ბრძოლა გარეგნულად არა ჩანს, მაგრამ ვინც იცის პრიბილისა და ბლატნის შემოქმედებითი კონცეფცია, მიხვდება ჩემი სადებიუტო მანევრების აზრს.

გიორგაძე — პრიბილი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მc3 მc6 3. მge2 მd4 4. მ:d4 cd 5. მe2 e5 6. c3 dc 7. მ:c3 კc5 8. კc4 მf6 9. d3 a6 10. a4 d6 11. 0—0 კe6 12. ლb3 კ:c4 13. dc h6 14. მd1 0—0 15. კe3 მ:e4 16. ლ:b7 კ:e3 17. მ:e3 მc5 18. ლd5 ეb8 19. მf5 ე:b2 20. მ:d6 ლb6 21. a5 ლb4 22. ლ:e5 მd3 23. ლg3 მ:f2 24. მf5 g6 25. მ:h6+ მფh7 26. ლh4 g5 27. ლh5 ლd2 28. მg4+. შავები დანებდნენ.

გიორგაძე — ბლატნი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. მf3 e6 3. კf4 c5 4. e3 cd 5. ed მc6 6. c3 კe7 7. კd3 d5 8. მbd2 კd6 9. მe5 ლc7 10. ლe2 კ:e5 11. de მd7 12. 0—0 0—0 13. ეfe1 f5 14. b4 d4 15. ეac1 dc 16. ე:c3 მb6 17. კc4 ლe7 18. a3 კd7 19. მb3 მ:c4 20. ლ:c4 მd8 21. კe3 b6 22. ლf4 კc6 23. ეec1 ლd7 24. მd4 ეc8 25. b5 კb7 26. ე:c8 კ:c8 27. მc6 მ:c6 28. bc ლc7 29. h4 ეd8 30. h5 ეd5 31. ლg3 ლ:e5 32. კf4 ლe2 33. f3 მფf7 34. h6 g6 35. მფh2 e5 36. ეe1 ef 37. ლh4 ლ:e1 38. ლ:e1 ეc5 39. ლa1 ე:c6 40. ლg7+ მფe6 და შავები დანებდნენ.

● ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ ბოლო სამ ტურნირში — ორჯერ დეჩინში და ერთხელ თბილისში — ვიქტორ გოგლიძის III მემორიალში, თქვენ 42 პარტია ითამაშეთ, რომელთაგან 15 მოიგეთ და 27 ყაიმით დაამთავრეთ. რამ განაპირობა ასეთი წარმატება?

— თამაშს მეტი სიფხიზლით ვეკიდები, ვსწავლობ მეტოქეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც დებიუტის არჩევაში მეხმარება. შეიძლება იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ უცხოელი მოჭადრაკეები მძაფრი ბრძოლისთვის მაინცდამაინც თავს არ იკლავენ. ამიტომ, როცა მოგების შანსი არ ჩანს, მეც ყაიმს ვურიგდები.

● თქვენი სპორტული მიღწევები დიდია, მაგრამ შემოქმედებით თუ ხართ კმაყოფილი?

— უნაკლოდ თამაში ძნელია. მეც მაქვს ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევა ჩემი უპირველესი ამოცანაა. მაგალითად, დეჩინში ზედმეტპაიკიანი მხედრების რამდენიმე ენდშპილი ვერ მოვიგე. მერე ვცდილობდი მსგავსი ენდშპილი არ მიმეღო. ეს, რა თქმა უნდა, გამოსავალი არ არის, საჭიროა ამ ტიპის ენდშპილების შესწავლა. ჭადრაკში მეცადინეობა მუდამ საჭიროა. უამისოდ წინსვლა წარმოუდგენელია.

● უცხოელ მოჭადრაკეთაგან ვის გამოყოფთ?

— თბილისელებისთვის ცნობილ სპირიდონოვსა და პრიბილს. ვფიქრობ, უახლოეს ხანში ისინი დიდოსტატები გახდებიან.

მინდა გავიხსენო დეჩინელების გულთბილი მასპინძლობა. თავისუფალ დღეებში ვხვდებოდით გულშემატკივრებს ქარხნებში, დაწესებულებებში. ჭადრაკი დეჩინში ყველას უყვარს. ამიტომაც შეიქმნა საერთაშორისო ტურნირების გამართვის ტრადიცია.

● ტრადიციული შეკითხვა: თქვენი გეგმები?

— ორ დღეში ლატვიაში გავემგზავრები, სადაც საქართველოს ნაკრებ გუნდს შევუერთდები. მონაწილეობას მივიღებ ჯერ გუნდის საწვრთნელ მეცადინეობაში, მერე კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში. შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ვითამაშებ.

• • •

სურათზე: საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ოსტატი თამაზ გიორგაძე.

მონაწილენი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	ქულები
1. სდ მ. ტაიმანოვი (სსრკ)	■	½	½	1	½	½	1	1	1	½	½	1	½	1	½	1	11
2. ო. თ. გიორგაძე (სსრკ)	½	■	½	½	1	½	½	½	½	½	1	1	½	1	1	1	10½
3. სდ ბ. მალიხი (გდრ)	½	½	■	½	½	½	½	1	½	½	½	1	1	1	1	1	10½
4. სო ი. პრიბილი (ჩეხოსლოვაკია)	0	½	½	■	½	1	½	½	1	1	1	½	½	½	½	1	9½
5. სო ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი)	½	0	½	½	■	1	½	½	1	1	½	½	½	½	1	1	9½
6. სო ლ. ცინი (გდრ)	½	½	½	0	0	■	½	1	½	½	½	½	1	½	1	1	8½
7. სდ გ. ბარცა (უნგრეთი)	0	½	½	½	½	½	■	½	½	1	1	1	1	0	0	½	8
8. ო გ. მიტიტელუ (რუმინეთი)	0	½	½	0	½	0	½	■	1	½	1	½	½	1	½	½	7½
9. სო მ. კოვაჩი (უნგრეთი)	0	½	½	0	0	½	½	0	■	½	0	0	1	1	1	1	6½
10. სო ა. ლეხტინსკი (ჩეხოსლოვაკია)	½	½	½	0	0	½	0	½	½	■	1	0	½	½	½	½	6
11. ო დ. ნუნი (ჩეხოსლოვაკია)	½	0	½	0	½	½	0	0	1	0	■	½	½	½	½	1	6
12. ო ფ. ბლატნი (ჩეხოსლოვაკია)	0	0	0	½	½	½	0	½	1	1	½	■	½	½	½	0	6
13. სო ი. პრიტჩეტი (შოტლანდია)	½	½	0	½	½	0	0	½	0	½	½	½	■	½	½	½	5½
14. სო ი. ტრაპლი (ჩეხოსლოვაკია)	0	0	0	½	½	½	1	0	0	½	½	½	½	■	½	½	5½
15. ო ჰ. ბალცეროვსკი (პოლონეთი)	½	0	0	½	0	0	1	½	0	½	½	½	½	½	■	0	5
16. ო ნ. რადევი (ბულგარეთი).	0	0	0	0	0	0	½	½	0	½	0	1	½	½	1	■	4½

შენიშვნა: სდ — საერთაშორისო დიდოსტატი, სო — საერთაშორისო ოსტატი, ო — სპორტის ოსტატი.

შეადარეთ თქვენს ამოხსნას

„ლელოს“ 29 მაისის ნომერში გამოქვეყნებული იყო საჭადრაკო კომპოზიციაში საქართველოს ჩემპიონთა ამოცანები და ეტიუდი. გთავაზობთ მათს ამოხსნებს.

ი. შოსტის ამოცანა: 1. ეc7. გ. საგჩენკოს ამოცანა: 1. მd3 მუქარით 2. მc5+. 1. ... ლ:d5 2. მc3+; 1. ... ლb8 2. ლe3+; 1. ... ეb6 2. ეe5+! კრიხელის ამოცანა: 1. ეf1 e5 2. ეe1 (2. ეc1 კe2 3. ეe5 მფ:a3 4. ეc2+ მფa4 5. ე:e2 მe6!) 2. ... კg6 3. ეc1 კd3 4. ეc5 მფa3 5. ეc2+ მფa4 6. ეc3 და 7. ეa3×. გ. ნადარეიშვილის ეტიუდი: 1. g7+ მფg8 2. მg6! ლe8 3. ეd4 b5 4. ეd6 a2 5. ეb6 fg 6. ეe6 ლa8 7. ეe8+ ლ:e8 პატი.

აღტაცებული არიან საბჭოთა მოჭადრაკეებით

ბერნი, 2 ივლისი. (საქდესის კორ.). საბჭოთა დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა, რომელიც შვეიცარიაში ერთ თვეს იყო გასტროლებზე, თერთმეტ ქალაქში 30 დაფაზე გამართა ერთდროული თამაშის სეანსები. მან ნათამაშევი პარტიების 85 პროცენტი მოიგო, დანარჩენები ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ რამდენიმე წააგო.

შვეიცარიის საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჭაბუკთა შორის 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონთან, შვეიცარიელ საერთაშორისო ოსტატ ვ. ჰუგთან ბრონშტეინის თავისებურმა ბლიც-ტურნირმა. ამ ტურნირში გათამაშდა რვა 30-წუთიანი პარტია (თითოეულ მოჭადრაკეს 15 წუთი დაეთმო). გაიმარჯვა ბრონშტეინმა.

— ჩვენ აღტაცებული ვართ საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნებით. შვეიცარიელი მოჭადრაკეები ყურადღებით ადევნებენ თვალს მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის თამაშს, გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატების შემოქმედებას, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელობის წევრმა ი. კრაუშაარმა. — ბრონშტეინის საჩვენებელმა გამოსვლებმა ხელი შეუწყო შვეიცარიისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

სამეფო სტადიონის „სწრაფი ბილიკი“

სტოკჰოლმი, 1 ივლისი. (საქდესის კორ.). ადგილობრივი სამეფო სტადიონის ხარბენი ბილიკი მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებისთვის ერთობ „სწრაფი“ გამოდგა. მარათონულ რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ფ. შორტერმა, რომლისთვისაც ეს შეჯიბრება ბოლო რეპეტიციაა სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩის წინ (კიევი, 4-5 ივლისი), 10 კმ 27 წუთსა და 51,8 წამში გაირბინა. ეს შედეგი საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში. საერთოდ, ეს გარბენი ერთ-ერთი უსწრაფესი გამოდგა მძლეოსნობის ისტორიაში: X ადგილზე გასულმა კანადელმა დრეიტონმა 28.13,8 აჩვენა.

800-მეტრიან დისტანციაზე ამერიკელებს კვლავ გაუსწრო ევროპის ჩემპიონმა ლ. სუშანმა (იუგოსლავია) და ისევ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია — 1.45,2. ამერიკელი რ. უოლჰატერი მეორე იყო (1.45,6), ხოლო მისი თანამემამულე მ. ეიჰარტი IV ადგილზე გავიდა — 1.46,4.

ამერიკელებმა 400 მეტრზე თარჯრბენშიც დათმეს პირველობა. აქ საუკეთესო იყო ინგლისელი ა. პასკოე — 48,59. მას სულ რაღაც 0,02 წამით ჩამორჩა ჯ. ბოლდინგი.

400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კენიელმა ს. ჩეპკვონიმ — 45,6. II ადგილზე გავიდა ს. უინსონი (აშშ) — 46,2. 1 მილზე (1609 მ) გარბენი ძალიან მაღალი შედეგით მოიგო ახალზელანდიელმა ჯ. უოკერმა — 3.52,2.

უნგრელმა მ. ნემეტმა, რომელმაც ამას წინათ 90-მეტრიანი ზღვარი გადალახა, ამჯერად შუბი 86,64 მეტრზე ტყორცნა.

ქალთა შორის თავი გამოიჩინეს ამერიკელმა ფ. ლარიუმ (1500 მ — 4.10,6) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, მსოფლიო რეკორდსმენმა რ. ვიტჩას-აკერმანმა (სიმაღლეზე ხტომა — 191 სმ).

„როლან გაროს“ კორტებზე

პარიზის სახელგანთქმულ „როლან გაროს“ კორტებზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დევისის თასის გათამაშების ევროპის ზონის „ბ“ ჯგუფის პირველი ნახევარფინალური მატჩი საფრანგეთისა და იტალიის ჩოგბურთელებს შორის.

ორი დაახლოებით თანაბარი გუნდის ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. ამის დასადასტურებლად მხოლოდ ის ფაქტი კმარა, რომ ანგარიში 2:2 იყო და ყველაფერი ბოლო შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ერთმანეთს ხვდებოდნენ მასპინძელი ფრანსუა ჟოფრე და იტალიელი კორადო ბარაზუტი. 3 ათასი მაყურებელი გულისფანცქალით ადევნებდა თვალს ამ უაღრესად საინტერესო ბრძოლას, რომელშიც გამარჯვება ჟოფრემ მოიპოვა. გამარჯვებისთვის მას ხუთივე ხელის თამაში დასჭირდა — 6:2, 4:6, 6:3, 3:6, 6:3.

ამრიგად, საფრანგეთის ნაკრები „ბ“ ჯგუფის ფინალურ მატჩში შეხვდება ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის წყვილის გამარჯვებულს. ამ უკანასკნელთა შეხვედრა პრაღაში გაიმართება 18-20 ივლისს. ხოლო ევროპის ზონის „ბ“ ჯგუფში გამარჯვებული გასცდება თავისი კონტინენტის ფარგლებს და დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალში შეხვდება ავსტრალიის ნაკრებს, რომელმაც ფარ-ხმალი დააყრევინა ახალზელანდიელებს.

(საქ. ინფ.).

მერქსი მეორეა

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ახსოვთ პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების „ჯირო დ'იტალიის“ მსვლელობა, რომლის შესახებაც „ლელო“ პერიოდულად ბეჭდავდა ცნობებს. ჩვენ ვწერდით, რომ 19 ეტაპის შემდეგ რბოლას მასპინძელი ფაუსტო ბერტოლიო ლიდერობდა. ახლა გვინდა შეგატყობინოთ, რომ იტალიელმა სპორტსმენმა ბოლომდე შეინარჩუნა მოწინავე პოზიცია და მოიგო ეს საპასუხისმგებლო შეჯიბრება.

ამის შემდეგ მსოფლიოს მოწინავე ველოსიპედისტებმა შვეიცარიაში გადაინაცვლეს და იქ იასპარეზეს „შვეიცარიის ტურში“. უდიდეს ინტერესს იწვევდა რბოლაში ბელგიელი ედი მერქსის მონაწილეობა, რომელიც „ჯირო დ'იტალიაში“ არ გამოსულა. მაგრამ პლანეტის უძლიერესმა მრბოლელმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება და II ადგილს დასჯერდა. მას თანამემამულე როჟე დე ვლემინკმა აჯობა.

გაგაცნობთ „შვეიცარიის ტურის“ უძლიერესთა ექვსეულს: 1. დე ვლემინკი — 44:22.58; 2. მერქსი — 44:23.53; 3. ლუი პფენინგერი (შვეიცარია) — 44:24.26; 4. ბერტ პრონკი (ჰოლანდია) — 44:27.25; 5. ვალტერ რიკომი (იტალია) — 44:27.30; 6. ანდრე დიერიქსი (ბელგია) — 44:27.37.

(საქ. ინფ.).

დიდი პრიზი მორელონს დარჩა

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, ფრანგმა ველოსიპედისტმა დანიელ მორელონმა მოიგო „კოპენჰაგენის დიდი პრიზი“ სპრინტში. ფინალში იგი შეხვდა დასავლეთგერმანელ იურგენ გეშკეს.

პირველ რბოლაში გეშკემ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ მორელონმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ორი რბოლის მოგებით (ბოლო 200 მეტრი შესაბამისად — 12,59, და 11,65) პირველობა მოიპოვა.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02776